

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3 2025 წლის 19 თებერვალი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 24-ე მუხლის „დ.ა.“ პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
შეტანილ იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.124.605849) :

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით (ათასი ლარი):

დასახელება	2023წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I. შემოსავლები	20962.6	29655.5	24847.0	13942.8	10904.2
გადასახადები	9979.8	11010.3	12367.2	12367.2	0.0
გრანტები	9565.2	17075.7	10904.2	0.0	10904.2
სხვა შემოსავლები	1417.6	1569.5	1575.6	1575.6	0.0
II. ხარჯები	12796.6	16895.0	16660.0	13039.2	3620.8
შრომის ანაზღაურება	3147.3	3481.8	3847.1	3847.1	0.0
საქონელი და მომსახურება	1912.4	2421.2	2443.6	2003.8	439.8
პროცენტი	37.6	71.5	62.2	62.2	0.0
სუბსიდიები	6011.2	6935.2	8533.1	5793.4	2739.7



გრანტები	54.0	17.7	18.0	18.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	828.9	909.9	963.9	925.8	38.1
სხვა ხარჯები	805.2	3057.7	792.1	388.9	403.2
III საოპერაციო სალდო	8166.0	12760.5	8187.0	903.6	7283.4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6966.7	13575.7	8663.1	777.9	7885.2
ზრდა	7551.2	13954.2	8813.1	927.9	7885.2
კლება	584.5	378.5	150.0	150.0	0.0
V მთლიანი სალდო	1199.3	-815.2	476.1	125.7	601.8
VI ფინანსური აქტივების ცვლილება	1121.8	-966.7	638.9	- 37.1	601.8
ზრდა	1121.8	0	0	0	0
კლება	0	966.7	638.9	37.1	601.8
VII. ვალდებულებების ცვლილება	-77.5	-151.5	-162.8	-162.8	0.0
ზრდა	0	0	0.0	0.0	0.0
კლება	77.5	151.5	162.8	162.8	0.0
VIII. ბალანსი	0	0	0.0	0.0	0.0

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)

განისაზღვროს ბაღდათის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:



დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	21547.1	30034.1	24997.0	14092.8	10904.2
შემოსავლები	20962.6	29655.5	24847.0	13942.8	10904.2
არაფინანსური აქტივების კლება	584.5	378.5	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	0	0
გადასახდელები	20425.3	31000.8	25635.9	14129.9	11506.0
ხარჯები	12796.6	16895.0	16660.0	13039.2	3620.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	7551.2	13954.2	8813.1	927.9	7885.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	77.5	151.5	162.8	162.8	0
ნაშთის ცვლილება	1121.8	-966.7	-638.9	-37.1	-601.8

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 24847.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	20962.6	29655.5	24847.0	13942.8	10904.2
გადასახადები	9979.8	11010.3	12367.2	12367.2	0
გრანტები	9565.2	17075.7	10904.2	0.0	10904.2
სხვა შემოსავლები	1417.6	1569.5	1575.6	1575.6	0



4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 12367.2 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი
1.1	გადასახადები	9979.8	11010.3	12367.2
1.1.3	გადასახადი ქონებაზე	1055.8	1081.2	1000.0
1.1.3.1.1.1	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	788.1	789.0	740.0
1.1.3.1.1.3	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11.4	18.7	10.0
1.1.3.1.1.4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	125.2	130.8	125.0
1.1.3.1.1.5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	131.0	142.7	125.0
1.1.4	გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ)	8924.0	9929.1	11367.2

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10904.2 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	9565.2	17075.7	10904.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	262.0	0
ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმდინარე ტრანსფერები	3003.5	2298.3	3464.4
მიზნობრივი ტრანსფერი	503.5	608.0	664.4
სპეციალური ტრანსფერი	2500.0	700.0	2800
სხვა	0	990.3	0
ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერები	6561.7	14515.4	7439.8
რგპვ გამოყოფილი თანხები	4988.8	7291,1	5187.7
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	346.0	346.0	346.0



საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების	147.7	0	0
საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	0	0	0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	119.5	0	0
რეგიონების სარეზერვო ფონდი (სტიქია)	685.0	6436.3	1700.0
რეგიონების სარეზერვო ფონდი(ავტობუსები)	274.8	206.1	206.1
რეგიონების სარეზერვო ფონდი(სამოქალაქო ბიუჯეტი)	0	235.9	0

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1575.6 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი
1.4	სხვა შემოსავლები	1417.6	1569.5	1575.6
1.4.1	შემოსავლები საკუთრებიდან	458.5	537.5	550.0
1.4.1.1	პროცენტები	29.9	58.7	70.0
1.4.1.5	რენტა	428.6	478.8	480.0
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	200.9	297.5	285.0
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	185.5	259.4	250.0
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	41.5	109.0	100.0
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0	0.0
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	0	0.0
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	142.4	150.2	150.0
1.4.2.3	არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	15.4	38.1	38.0
1.4.2.3.2	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	15.4	38.1	38.0
1.4.3	სანქციები, ჯარიმები, საურავები	732.5	716.8	720.0
1.4.4	ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	25.7	17.7	17.6



7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16660.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	12796.6	16895.0	16660.0	13039.2	3620.8
შრომის ანაზღაურება	3147.3	3481.8	3847.1	3847.1	0.0
საქონელი და მომსახურება	1912.4	2421.2	2443.6	2003.8	439.8
პროცენტები	37.6	71.5	62.2	62.2	0.0
სუბსიდიები	6011.2	6935.2	8533.1	5793.4	2739.7
გრანტები	54.0	17.7	18.0	18.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	828.9	909.9	963.9	925.8	38.1
სხვა ხარჯები	805.2	3057.7	792.1	388.9	403.2

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1.განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8663.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8813.1 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023	2024	2025
	წლის	წლის ფაქტი	წლის პროგნოზი



	ფაქტი		
არაფინანსური აქტივების კლება	584.5	378.5	0
მირითადი აქტივები	446.0	65.7	0
შენიშნა ნაგებობები	340.0	65.7	50.0
მანქანა დანადგარი და ინვენტარი	106.0	0.0	0
არაწარმოებული აქტივები	138.5	312.8	0
მიწა	138.5	312.8	100.0

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4606.1	5205.7	5750.3
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4542.1	5134.3	5525.3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4542.1	5134.3	5478.1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0	47.2
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	64.0	71.4	225.0
7.2	თავდაცვა	130.6	0	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6481.5	8190.9	7981.1
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0	103.7	0.0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	0	103.7	0.0
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	249.3	448.6	2251.1
7.4.4.3	მშენებლობა	249.3	448.6	2251.1
7.4.5	ტრანსპორტი	5587.9	6585.1	4681.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5587.9	6585.1	4681.6
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	30.2	18.8	42.6



7.4.7.3	ტურიზმი	30.2	18.8	42.6
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	614.0	1034.8	1005.8
7.5	გარემოს დაცვა	1774.9	2016.9	2305.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1669.0	1873.8	2220.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	90.8	78.6	80.0
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	0.0	0.0
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვა	5.0	5.0	5.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	10.1	59.6	0.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	610.7	1531.4	1555.1
7.6.1	ბინათმშენებლობა	39.8	125.8	258.2
7.6.3	წყალმომარაგება	41.6	876.8	696.9
7.6.4	გარე განათება	529.3	518.7	550.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	0.0	10.1	50.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	212.0	181.3	189.7
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.0	174.6	189.7
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.	81.0	6.7	0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2258.5	2498.7	3440.0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	744.2	857.4	1090.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1370.9	1516.1	2220.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	103.7	118.2	130.0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	39.6	7.1	0
7.9	განათლება	2523.4	3056.6	3441.8
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2102.8	2077.6	2672.8
7.9.2	ზოგადი განათლება	420.5	674.2	769.0
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	420.5	674.2	769.0
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0	304.8	0
7.10	სოციალური დაცვა	1749.9	8167.5	972.9
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	373.0	408.9	445.7
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	322.7	353.5	380.7
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა	50.3	55.4	65.0



7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0	0	5.0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	26.7	28.7	35.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	46.0	57.3	81.1
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	104.5	152.5	150.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	56.3	64.4	0.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1143.3	7455.6	256.1
	სულ	20347.8	30849.3	25635.9

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროგნოზი
საოპერაციო სალდო	8166.0	12760.5	8187.0
მთლიანი სალდო	1199.3	-815.2	-476.1

11. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. - ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 638.9 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	1121.8	-966.7	-638.9
ზრდა	1121.8	0.0	0.0
ვალუტები და დეპოზიტები	1121.8	0.0	0.0
კლება	0.0	966.7	638.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	966.7	638.9

12. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლი (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -162.8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-77.5	-151.5	-162.8
ზრდა	0.0	0.0	0.0
კლება	77.5	151.5	162.8

2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის ვალის მოცულობა 225.0 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ვალი
1 მუნიციპალური განვითარების ფონდი	225.0
პროცენტი	62.2
ძირი	162.8

ბაღდათის მუნიციპალიტეტს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-დან აღებული სესხით შეძენილი აქვს თანამედროვე ნაგავშენები და ნაგვის ურნები. აღნიშნული სესხის ჯამური მოცულობა შეადგენს 584.1 ათას ლარს. გადახდა დაიწყო 2018 წელს და უნდა დასრულდეს 2026 წელს. სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით ყოველწლიურად გადასახდელი თანხის მოცულობა პირობითია და ის ზუსტდება გადახდის მომენტში, რომელიც წლის მანძილზე ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს. 2025 წელს შემცირება იგეგმება 55.0 ათასი ლარით. 170.0 ათასი ლარით შემცირდება ს.ს „თიბისი ლიზინგით შეძენილი ექსკავატორ-დამტვირთველის ვალდებულება.

13. დადგენილებით დამტკიცებული დანართის (ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან.ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების,გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა.) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას,რაც წინა პირობაა ტურიზმის მრეწველობის,სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების.აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია,წყლის სისტემების,გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა.დაფინანსდება როგორც ახალი ობიექტების მშენებლობა ასევე არსებულის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები.

ბ.ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (კოდი 02 01)

პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას,ახალი გზების მშენებლობას



და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით.

პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლეებისათვის და შშმ პირებისათვის ადაპტირებული, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა კომფორტული, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, მგზავრობის დროის და სატრანსპორტო დანახარჯების დაზოგვა, ქალაქში მაცხოვრებელთათვის, ადგილობრივი ბიზნეს ობიექტებისთვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტით და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვა, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ბ.ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია (კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდა სასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. გზების პერიოდული შეკეთება, ქუჩების სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დაზიანებული გრანიტის ძელაკებისა და ფილების შეკეთება, გზის სავალ ნაწილისა და ტროტუარებზე დაზიანებული დაწნეხილი და დეკორატიული ფილების შეკეთების სამუშაოები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: დაზიანებული ქუჩების, ტროტუარების მოწესრიგება, არსებულ ქუჩებში ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგება, ბორდიურების მოწყობა, ბეტონის საფარის დაგება, დეკორატიული ბოძკინტებისა და ღობურების მონტაჟი, საფეხმავლო ხიდის მშენებლობა, გზებისა და ტროტუარების საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის, შშმ პირებისთვის ადაპტირება, უსინათლოთა ბილიკებისა და პანდუსების მოწყობა,

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების და ტროტუარების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება. ადგილებროვი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

ბ.გ) წყლის სისტემების განვითარება (კოდი 02 02)

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება. მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფა.

ბ.დ) სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია (კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების



ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა შესაძლო წყალმოვარდნებისაგან, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

ბ.ე) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული წყლის სისტემის რეაზერვუარების დაქლორვა, სოფლებში შიდასაუბნო წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია.მომსახურების ხარისხის მატება,სისტემაში შენახვის მოცულობის ზრდა.

ქვეპროგრამის მიზანია დაქლორვითი სამუშაოების შედეგად სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება.მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ბ.ვ) გარე განათების ქსელის მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება, არსებული ნათურების დაბალ ემისიური ნათურებით ჩანაცვლება. ელექტროენერგიის ხარჯის შემცირების მიზნით. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.

პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები.დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება

ბ.ზ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 04)

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გათვალისწინებით, არსებული შედრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა–შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

პროგრამის მიზანია მოწესრიგდეს ქალაქის იერსახე, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის.

ბ.თ) მრავალბინიანი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია კოდი (02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით.

პროგრამის მიზანია მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები.მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

ბ.ი) საკადასტრო რუქის დამზადება (კოდი 02 04 02)



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

ბ.კ) შადრევნების ექსპლოატაცია (02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

პროგრამის მიზანია შადრევნების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ბ.ლ) ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 02 04 05)

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლები ზეგანი და საკრალა მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებულია 21 კილომეტრით. სოფლების მოსახლეობა მუნიციპალურ ცენტრთან დასაკავშირებლად სარგებლობს კომერციული სამარშრუტო ტაქსით, რომელიც კვირაში მოძრაობს 3 დღე. მოსახლეობამ მერიას მომართა ერთობლივი წერილით და ითხოვა დახმარება, რომ მუნიციპალიტეტმა უშუამდგომლოს აღნიშნულ შპს-სთან რეისების რაოდენობის გაზრდისთვის. მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი დამატებითი დააფინანსებს შპს-სთან სუბსიდირების ხელშეკრულების ფარგლებში თვიურად 200 ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულების ფარგლებში, რომ მოხდეს რეისების გაზრდა კვირაში 3-დღიდან 6 -დღემდე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახელმწიფო ფონდებიდან განკარგულებით გამოყოფილი თანხით ავტობუსების შესყდვა.

ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო ტრანსპორტის შუფერხებლად მუშაობა, მოსახლეობის მუნიციპალურ ცენტრთან წვდომის გამარტივება.

ბ.მ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (კოდი 02 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ.

პროგრამის მიზანია სოფლის კრების ოქმით განსაზღვრული პროექტების შესრულება. სოფლის საჭიროებების დაკმაყოფილება.

ბ.ნ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა (კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯებირების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები, მათ შორის კლიმატგონივრული მიდგომები. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიეზო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. საინჟინრო ნაგებობების პროექტირება გზების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო მომსახურება ავარიული სახლების პროექტირება სანიაღვრე სისტემების პროექტირება საექსპერტო მომსახურების შესყიდვა

საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა, სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.



ბ.ო) მშენებლობა- რეაბილიტაცია (კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია კლიმატგონივრული მიდგომების გათვალისწინებით, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება.

პროგრამის მიზანია არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა.

ბ.პ) მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა,რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (კოდი 02 07 01)

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგება.მუნიციპალიტეტში არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება,მათ შორის შენობების ენერგოეფექტური განახლება. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება . ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქის ქუჩები; საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ადაპტაცია დეფიციტური სერვისების მიწოდების მიზნით (ღვინის ლაბორატორიის სივრცის მოწყობა). ახალი ობიექტების მშენებლობა ენერგო ეფექტური მიდგომების გათვალისწინებით, გარემო პირობების გაუმჯობესება.რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ქვეპროგრამის მიზანია გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები.

ბ.ჟ) საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა,მოწყობა,რეაბილიტაცია (კოდი 02 07 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების გამაგრებითი სამუშაოები საყრდენი კედლების მოწყობის გზით და მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია გზების გვერდულების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ნაპირსამაგრი ნაგებობების/ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია სტიქიის ლიკვიდაცია.

ბ.რ) სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (კოდი 02 07 04)

ქვეპროგრამა განკუთვნილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღსადგენად და/ან მოსახლეობის დასახმარებლად, როგორებიცაა: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ძირითად ცენტრალური ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი, ასევე საკუთარი სახსრები.

ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია.

ბ.ს) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამა (კოდი 02 08)

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებაზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა და განხორციელება ხდება მერიის და მოსახლეობის მიერ.



პროგრამის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების საჭიროებების დაკმაოფილება.

ბ.ტ) საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა (კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა.

პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა.

ბ.უ) „სამოქალაქო ბიუჯეტის მხარდაჭერა“ (კოდი 02 10)

მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში ანუ მათ შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ, რაში დაიხარჯოს მუნიციპალური ან სხვა ბიუჯეტის ნაწილი. განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. პროექტებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება მოსახლეობის ჩართულობით გამჭვირვალე კენჭისყრის შედეგების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის მიერ კენჭისყრით განსაზღვრული პროექტების შესრულება. მოსახლეობის საჭიროებების დაკმაოფილება.“

„ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა - ბაღდათის მუნიციპალიტეტის განაგრძობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას რა მიზნითაც პრიორიტეტით გათვალისწინებულია 24 პროგრამა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ვ.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემთა (72 დაავადება და მდგომარეობა) შეყვანა.
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა სამედიცინო დაწესებულებებთან (პირველადი ჯანდაცვის (პჯდ)-ს და ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად, განხორციელების ლოგისტიკური ხელშეწყობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის სახით;
- იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა.
- სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (დკსჯდ) ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯანდაცვის დაწესებულებებში (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები) დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებების სისტემის ფუნქციონირების, ანგარიშგების მოწესრიგების ხელშეწყობა, მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარების გაწევა კომპეტენციის ფარგლებში;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ასევე საზოგადოებრივი



- მნიშვნელობის ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა. პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას (ალრიცხვა-რეგისტრაციას დაქვემდებარებული გადამდები დაავადებების გამოვლენა, მათზე ექვსის მიტანა ან ეპიდაფეთქება);
 - აივინფექცია/შიდსის ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის დაგეგმვა, ხელსეწყობა და განხორციელება.
 - ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, ავადობის გრძელ და მოკლე ვადიანი პროგნოზირების მიზნით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება დკსჯდ ეროვნულ ცენტრის მონაწილეობით მოსახლეობისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.
 - ჯანსაღი ცხოვრების წესის და უნარების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა;
 - ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
 - გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
 - ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, გადაწყვეტილებათა და დასახულ ქმედებათა კოორდინაცია პროფილურ ცენტრალურ სტრუქტურებთან;
 - პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება, ზრუნვა პროფესიული რეზერვის შექმნაზე;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. პრევენციული ღონისძიებების გატარება. გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია.

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიცემა. გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია,

ვ.ბ) სამედიცინო დახმარების ხარჯები (კოდი 06 02 01)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 65 000-მდეა, წარმოადგენენ მერის წარმომადგენლის შამდგომლობას ან სოციალური მუშაკის დასკვნას, ნაწილობრივ ან სრულად აუნაზღაურდებთ სამედიცინო მომსახურების (კვლევა, ოპერაცია, მკურნალობა, ქიმიოთერაპია) ხარჯები. ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება მომსახურების მომწოდებელი სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ონკოლოგიური პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულისა და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენისაგან.

პროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და მათზე ზრუნვა, მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება. დაავადებათა გართულების პრევენცია. სამედიცინო მომსახურებაზე ბენეფიციართა ხელმისაწვდომობა.

ვ.გ) ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (კოდი 06 02 02)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის მონაწილე ვეტერანების გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათ ოჯახებს გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ქვეპროგრამის მიზანია ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება. ვეტერანთა ოჯახების მხარდაჭერა.



ვ.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები (კოდი 06 02 03)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები (მშობელი, მეუღლე ან შვილი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ბაღდათის მუნიციპალიტეტში, წელიწადში ერთჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას დახმარებას 500 ლარის ოდენობით (8 აგვისტოს ან 27 სექტემბრის თარიღებთან დაკავშირებით).

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება, მხარდაჭრა და თანადგომა.

ვ.ე) ოფასო სასაძილოების დაფინანსება (კოდი 06 02 04)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო და სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები ყოველდღიურად მიიღებენ უფასო სადილს. ბენეფიციარი შეირჩევა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ.

მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფა.

ვ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 06 02 05)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც 2024- 2025 წლებში შეეძინათ მეორე ან შემდეგი შვილი, საჩუქრად მიეცემათ: მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 200 ლარი, მესამე შვილის შეძენისას 300 ლარი, მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენისას 500 ლარი, ტყუპების შეძენისას 1000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

ვ.ზ) თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება (კოდი 06 02 07)

